

კონკურსი საია-ს საერთაშორისო სამართალწარმოების გუნდში ანაზღაურების გარეშე თანაშემწეთა/სტაჟიორთა მისაღებად

სამუშაო ადგილი: თბილისი/ონლაინ
სამუშაო დატვირთვა: არასრული
განაცხადის წარმოდგენის ბოლო ვადა: 2022 წლის 10 თებერვალი

საერთაშორისო სამართალწარმოების გუნდის თანაშემწედ/სტაჟიორად ყოფნა გულისხმობს 6 თვიანი კურსის გავლას, რომლის წარმატებით დასრულების შემთხვევაში მონაწილეები მიიღებენ შესაბამის სერტიფიკატს.

კონკურსის შედეგად საერთაშორისო სამართალწარმოების გუნდში შეირჩევა არაუმეტეს 5 პირი. კონკურსის შედეგად შერჩეული კანდიდატები საქმიანობას შეუდგებიან 2022 წლის მარტიდან. მიმდინარე ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გათვალისწინებით, სტაჟირების

პერიოდი უმეტესწილად წარიმართება დისტანციურ რეჟიმში.

კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ იურიდიული ფაკულტეტის/საერთაშორისო სამართლის ბაკალავრიატის მე-3 და მე-4 კურსის სტუდენტებს. კონკურსის გავლის აუცილებელი წინაპირობაა ინგლისური ენის კარგი ცოდნა.

თანაშემწეებს/სტაჟიორების ფუნქციებში ძირითადად შედის:

- საერთაშორისო სამართალწარმოების მიზნებისთვის განცხადებებისა და სხვა სამართლებრივი დოკუმენტაციის მომზადებაში იურისტის დახმარება;

- კონკრეტულ საკითხებზე საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის მოძიება და გაანალიზება;

- ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულებისთვის კვლევითი საქმიანობის განხორციელება.

განაცხადების მიღება წარმოებს ელ.ფორმის მეშვეობით.

კონკურსის შედეგად შერჩეულ პირებთან გაფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება თანაშემწეთა/სტაჟიორთა უფლება-მოვალეობები.

კონკურსის ეტაპები:

~~1. წერითი გამოცდა~~ - დაშვებული იქნება კანდიდატი, რომელიც აკმაყოფილებს ჩამოთვლილ კრიტერიუმებს და აქვს სრულყოფილად შევსებული სარეგისტრაციო ფორმა. წერით გამოცდაზე კონკურსში მონაწილეებს ევალებათ 2 კაზუსის ამოხსნა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მიმართულებით, რომლის ერთ-ერთი დავალება, ასევე, შეიძლება შეიცავდეს სისხლის სამართლის კუთხით ცოდნის გამომჟღავნების აუცილებლობას.

~~2. გასაუბრება~~ - დაშვებული იქნება ის კანდიდატი, რომელიც წარმატებით გადალახავს პირველ ეტაპს.

განაცხადების მიღება:

საბუთების მიღების ბოლო ვადაა 2022 წლის 10 თებერვალი 18:00.